

**თეონა რუხაძე, სანდრო ნათაძე**  
(საქართველო)

**ტრადიცია თანამედროვეობაში – სვანეთის 2021 წლის  
საველე კვლევის შედეგები**

2021 წლის ბაფხულში, ზემო სვანეთში, ფოლკლორის სახელმწიფო ცენტრმა მუსიკალურ-ფოლკლორისტული ექსპედიცია ჩაატარა. საექსპედიციო ჯგუფმა ათი დღის განმავლობაში, ლატალის, ეცერის, ფარის, ბეროს, ნაკრის, ქუბერის, ლენჯერის, მულახისა და უშგულის თემებში იმუშავა. ამავე წლის შემოდგომაზე კვლევა გაგრძელდა ქვემო სვანეთში – ჩოლურსა და ლენტეხში. ექსპედიციის მიზანი იყო მუსიკალური ფოლკლორის მნიშვნელობისა და ფუნქციონირების საკითხის კვლევა თანამედროვე სვანეთში: ტრადიციის თანამედროვე მდგომარეობის დაფიქსირება და დროთა განმავლობაში მასში მომხდარ ცვლილებებზე დაკვირვება. ზემო სვანეთში, ველზე მუშაობის პერიოდი (ივლის-აგვისტო) შემთხვევით არ შეგვირჩევია. ადგილობრივი რეპერტუარის ჩანერისა და სვანური მუსიკის შესახებ არსებული ცნობების შეგროვების გარდა, ვვეგმავდით ამ პერიოდში გამართული სათემო დღეობების დაფიქსირებას. სამწუხაროდ, უამინდობის გამო, ყველა მათგანს ვერ დავესწარი, თუმცა, შევეცადეთ, დანაკლისი ამ რიტუალების მუდმივ მონაწილეებთან – ხანდაზმულ ეთნოფორებთან ინტერვიუებით შეგვევსო.

სვანური ტრადიციული მუსიკის კვლევას საუკუნეზე მეტი ხნის ისტორია აქვს. ჯერ კიდევ 1890 წელს, კავკასიელი ხალხების შესახებ არსებულ გამოცემაში *Сборник материалов для описания местностей и племен Кавказа* (კავკასიის ადგილთა და ტომთა აღწერის მასალების კრებული), ქუთაისის საქალაქო სასწავლებლის პედაგოგის, ვასილ ტეპცოვის წერილს, სვანური მოტივები და სიმღერა ყანსავ ყიფიანზე, სვანური მუსიკალური ფოლკლორის ათი სანოტო ნიმუში ერთვის (СМОМПК, 1890:69-92). 1903 წელს, სვანეთში სიმღერები და დასაკრავები ფონოგრაფით ჩანერა ზაქარია ფალიაშვილმა, ამ კუთხის მუსიკის პირველ ჩამწერთა შორისაა დიმიტრი არაყიშვილიც. 1940-იანი წლებიდან დღემდე სვანური მუსიკა, არაერთი ქართველი და უცხოელი მეცნიერის ინტერესის სფეროდ იქცა<sup>1</sup>. სვანეთი არც მომიჯნავე დარგების სპეციალისტებს – ეთნოლოგებს, ლინგვისტებს, ანთროპოლოგებს, ხელოვნებათმცოდნეებსა თუ ზეპირსიტყვიერების მკვლევრებს დარჩენიან უყურადღებოდ. ნაშრომების მრავალრიცხოვნობის მუხედავად, ამ კუთხის ტრადიციული კულტურა კვლავ მრავალ კითხვას აჩენს, რაც მის სიღრმესა და ამოუწურაობაზე მეტყველებს. სტატიის ფარგლებში გვსურს, გაგიზიაროთ რამდენიმე დაკვირვება დროთა განმავლობაში სვანური მრავალხმიანი სიმღერის შემსრულებლობაში მომხდარ ცვლილებებზე.

<sup>1</sup> სვანური ტრადიციული მუსიკის ჩამწერთა შორის არიან: შალვა ასლანიშვილი, გრიგოლ ჩხიკვაძე, ვლადიმერ ახოზაძე, ოთარ ჩიჭავაძე, თამარ მამალაძე, ივეტ გრიშო, მინდია ჟორდანია, იოსებ ჟორდანია, ედიშერ გარაყანიძე, მალხაზ ერქვანიძე, ნატალია ზუმბაძე, ნანა ვალიშვილი, მაკა ხარძიანი, სილვია ბოლ ზემპი, ჰუგო ზემპი ნანა მუავანაძე, ფრანკ შერბაუმი და სხვანი.

### მუსიკა და რიტუალი

საველე მუშაობისას შესაძლებლობა მოგვეცა, უშგულის თემში დავსწრებოდით თიბვის დაწყების სეზონის<sup>2</sup> აღსანიშნავ რიტუალს – ახანახა<sup>3</sup>. მოქმედება წარიმართა სოფელ ჩვიბიანის მაცხოვრის ეკლესიის ეზოში. ტაძრის წინ, მუხლზე დაჩოქილ მამაკაცებს შორის ერთ-ერთმა ლოცვა წამოიწყო. ყოველი ჩამოლოცვის ბოლოს ჯგუფი გუნდურად პასუხობდა შეძახილით: ამენ! ტაძრის ეზოშივე მათ შეასრულეს უშგულური *ჯრავი*<sup>4</sup> და *რიჰო*<sup>5</sup>. ამის შემდეგ ისინი სათიბში გავიდნენ, რათა თიბვის დაწყება სიმბოლურად, ცელის მოსმით აღენიშნათ. როგორც შევითყვეთ, ბოლო დროს, ამ დღეს მხოლოდ ტაძართან ლოცვით და ტრაპეზით შემოიფარგლებიან. ამ შემთხვევაში, უკვე მივიწყებული ტრადიციის – სიმბოლური თიბვის წესის შესრულების მიზნით, ადგილზე ჩასული საექსპედიციო ჯგუფი გახდა. მასპინძლებმა ხსენებული სიმღერებიც საგანგებოდ შეასრულეს. მონდომების მიუხედავად, მათ გაუჭირდათ სამ ხმაში გამართულად, ხმაშენწყობილად მღერა. ინტერვიუს დროს აღნიშნეს, რომ ბოლო პერიოდში, სხვადასხვა შეკრების დროს, უფრო თანამედროვე სიმღერებს ასრულებენ. ძველი რეპერტუარიდან კი, შედარებით უკეთ, სარიტუალო სიმღერები ახსოვთ.

სათემო დღეობების თანმხლებ და, ზოგადად, სარიტუალო სიმღერებს, ექსპედიციის მიერ ჩაწერილ რეპერტუარში საკმაოდ დიდი ადგილი უჭირავს<sup>6</sup>. ეს ბუნებრივიცაა, თუ გავითვალისწინებთ ამ ჟანრის მნიშვნელობას სვანურ ფოლკლორში. მასალის მიხედვით ჩანს, რომ ეთნოფორთა მეხსიერებამ ყველაზე უკეთ *ჯრავი* შემოინახა. მისი ვარიანტების ჩაწერა, ფაქტობრივად, ყველა თემში მოვახერხეთ (ვიდეომავ. 1). გავრცელების ინტენსივობით, ჩვენი ყურადღება, ასევე, მიიპყრო *ლოცვა-ამინის* პრაქტიკამ. დღეობების საკვანძო მომენტს – ლოცვას, როგორც წესი, ახლავს გუნდური *ამინ*, რომელსაც ზოგჯერ შეძახილის, ზოგჯერ კი მრავალ ხმაში მუზიციერების ფორმა აქვს<sup>7</sup>. ადგილობრივებმა, არასაკრალურ გარემოში ჩაწერის პროცესშიც კი, აუცილებლობად მიიჩნიეს სარიტუალო ატრიბუტიკის გამოყენება. მაგალითად, ფარის თემში ლოცვა იქამდე არ ითქვა, სანამ მთქმელს *ლემზირი*<sup>8</sup> და *ზედამუ*<sup>9</sup> არ მოუტანეს (ვიდეომავ. 2)<sup>1</sup>. საინტერესო

<sup>2</sup> მთაში დიდთოვლობის გამო, მსხვილფეხა საქონლის გამოზამთრების ერთადერთი საშუალებაა ჩამოტანილის თივის ზვინება, შესაბამისად, ადგილობრივთათვის სამეურნეო საქმიანობის ამ ფორმას განსაკუთრებული დატვირთვა აქვს, თიბვის სეზონის დაწყებას დღესასწაულები ახლავს აღმოსავლეთ საქართველოს მთაშიც.

<sup>3</sup> განიმარტება, როგორც „თიბვის დღე“.

<sup>4</sup> სვანეთში ამ სიმღერას წმინდა გიორგის უკავშირებენ. სამეცნიერო ლიტერატურაში *ჯრავი* ასევე განიხილება წინარექრისტიანული მთვარის ღვთაების, ქრისტიანული წმინდანით ჩანაცვლებად (ბარდაველიძე, 1953). წმინდა გიორგის კულტი მთელ საქართველოში ძლიერია. *ჯრავი* დღემდე სვანური სათემო დღეობების აუცილებელი ნაწილია.

<sup>5</sup> *რიჰო* უშგულური სიმღერაა და ადგილობრივ დღეობებს უკავშირდება. არსებობს ცნობა, რომლის თანახმადაც *რიჰოს* უშგულის ლამარიას ეკლესიის გარშემო ფერხულად ასრულებდნენ (ახობაძე, 1957:12). ამ სიმღერის ფერხულად შესრულების წესი ჩვენ მიერ გამოკითხულმა რესპოდენტებმაც დაგვიდასტურეს.

<sup>6</sup> მათ შორისაა: *ჯრავი*, *რიჰო*, *ლილე*, *დიადებ*, *დიდებათა*, *ლაუღვამ*, *ცხაუ ქრისდემ*, *ბარბალ დოლაშ*, *ქალთიდ*, *ელიალრდე* და სხვ.

<sup>7</sup> ჩავიწერეთ ორ და სამხმინი ვარიანტები. გამღერება ხდება მარცვლებზე: ოა-ოი-მენ.

<sup>8</sup> გულსართიანი სარიტუალო პური. ამ შემთხვევაში ჩანაცვლდა ოჯახში გამომცხვარი ხაჭაპურით.

<sup>9</sup> შესაწირავი ღვინო ჩანაცვლდა სპირტიანი სასმელით.

<sup>1</sup> ლოცვის შინაარსი, კონკრეტულ შემთხვევაში, ამგვარი იყო: | ნაწილი: ო, დიდება შენ, მაღლიანო,

შემთხვევა გვეჩვენა ნაკრაში – მასპინძლებმა აგვიხსნეს, რომ სიმღერა არ იცოდნენ, თუმცა, საუბარზე დაგვთანხმდნენ. ინტერვიუს დროს გაირკვა, რომ ისინი მართლაც არ ფლობდნენ დიდ ინფორმაციას ტრადიციული სვანური მუსიკის შესახებ და არც შესრულების პრაქტიკული გამოცდილება ჰქონდათ, თუმცა შეეძლოთ ეთქვათ ტრადიციული *ლოცვა-ამინი*. შემოგვთავაზეს რიტუალის ერთგვარი იმიტაცია – *ზედაშითა* და *ლეშხირით* სოფლის ეკლესიაში, რადგან სურდათ ჩვენთვის თემის ღირსშესანიშნაობაც ეჩვენებინათ. ადგილზე კი დაპირებული *ლოცვა-ამინის* გარდა, მოულოდნელად *ჯგრაგიც* წამოიჩყეს. ისინი სიმღერის შესრულებისას ინტუიციით მიჰყვებოდნენ ერთმანეთს და გზადაგზა იხსენებდნენ უკვე აშკარად მივიწყებულ ხმებს, თუმცა ის ფაქტი, რომ შეძლეს სიმღერის ბოლომდე თქმა, მრავლისმეტყველია და თანამედროვე სვანურ სოციუმში *ჯგრაგის* განსაკუთრებულ მნიშვნელობაზე მიგვანიშნებს.

სარიტუალო რეპერტუარიდან აღსანიშნავია სამგლოვიარო *ზარი* და მისი პრაქტიკა. რიტუალის უცვლელი მონაწილის, ცნობილი მომღერლის, მურად ფირცხელანის მონათხრობით, ადრე *ზარის* შესრულებისას ერთმანეთს ეცილებოდნენ, რადგან მიცვალებულის ყველაზე დიდ დაფასებად მისთვის *ზარის* თქმა ითვლებოდა. *ზარი*, რომლის ვარიანტებითაც მდიდარი იყო როგორც ზემო, ისე ქვემო სვანეთი, დაკრძალვის ცერემონიაში დღემდე ჩართულია. თუმცა, მისი მთქმელები, ძირითადად, ხანდაზმული მომღერლები არიან. ახალგაზრდებში კი ამ სიმღერის შესწავლის და, ზოგადად, რიტუალში მონაწილეობის სურვილი საგრძნობლად შემცირებულია.

### ზეპირი ტრადიციის თაობა

ჩვენ მიერ გამოკითხულ რესპოდენტთა დიდი ნაწილი, XX საუკუნის 30-იან და 40-იან წლებშია დაბადებული. მათი ბავშვობა, საქართველოში ხალხური სიმღერის გუნდების განსაკუთრებული სიმრავლის პერიოდს დაემთხვა<sup>1</sup>. მოსწავლეობის პერიოდში, ფაქტობრივად ყველა მათგანი სკოლებთან არსებულ ანსამბლებში ირიცხებოდა. მიუხედავად ამისა, მათი პირველი და ძირითადი მუსიკალური შთაბეჭდილებები ოჯახურ შეკრებებს, სათემო დღეობებს, ტრადიციული ყოფის თანმხლებ რიტუალებს უკავშირდება. ზოგიერთი უშუალო მასწავლებლებად ასახელებდა დედას, მამას და სხვა ახლო ნათესავებს. ჩვენს შეკითხვაზე, თუ რას გულისხმობდნენ მასწავლებელსა და სწავლებაში, პასუხობდნენ – სიმღერის მრავალჯერ მისმენის შედეგად დამახსოვრებას და თანდათან აყოლას: „სიმღერის ხმებს ვაკვირდებოდი და გულში ვმღეროდი“ – აღნიშნა სოფელ ლახუშდის მკვიდრმა გივი ფირცხელანმა. რობიზონ შუკვანმა ლენჯერის თემიდან, ამავე შეკითხვაზე

---

წმინდა გიორგის დიდება! წმინდაო გიორგი, მადლიერი ვიქნებით შენი, დღეს აქ მომსვლელები კარგი გულით მოიყვანე ყოველთვის და შენი შემწეობის გარეშე არ დატოვო. ასიათასი დღევანდელი დღე გაუთენე კარგი გულით და შენდაში მლოცველად ყოველთვის გვამრავლე მადლიანო, დიდება შენ, წმინდაო გიორგი! II ნაწილი: ზედაშეს დამწესებელო ღმერთო, დიდება შენ! დღეს აქ სტუმრები გვყავს და კარგი ზედაშე მოამზადებინე ყოველთვის, მადლიანო, შენ გვიშველე. თავიდან ბოლომდე ყველა დალოცვილი ყოფილიყავით, ყველა კარგად იყავით წმინდა გიორგის წყალობით (თარგმან კობა დევდარიანმა).

<sup>1</sup> საბჭოთა ხელისუფლების პირობებში, ხალხური სიმღერის შემსრულებელი გუნდების მომრავლებას, ხელშეწყობასა და პროპაგანდას იდეოლოგიური მიზეზები ჰქონდა. მათ უნდა წარმოეჩინათ ფორმით ეროვნული და შინაარსით სოციალისტური ხელოვნება და თავიანთ შემოქმედებაში გადმოეცათ მშრომელი და ბედნიერი მასების სულისკვეთება. ანსამბლების რეპერტუარში დიდ ადგილს იკავებდა საბჭოთა თემატიკის ნიმუშები, ტრადიციული სიმღერები, ხშირ შემთხვევაში, სრულდებოდა არატრადიციული, უჩვეულოდ დიდი და ეკლექტური შემადგენლობებით.

გვითხრა: „სიმღერა ვისწავლე სახლში, ბუნებრივად. ვბაძავდი იმას, რასაც ვუსმენდი. სიმღერა, ასევე, მესმოდა დღესასწაულებზე. ვიმეორებდი პირველსაც, მეორესაც, ბანსაც“. ზეპირი ტრადიციის კანონებიდან გამომდინარე, ბუნებრივია, მათი სმენა ბავშვობიდანვე ეჩვეოდა იმპროვიზაციას, ვარიანტების სიმრავლეს. თავისუფლება და სილაღე ამ ტრადიციის ბოლო თაობის წარმომადგენელთა ნამღერში დღემდე შენარჩუნებულია.

სავლელ კვლევამ, ასევე, გვიჩვენა, რომ ადგილობრივთა მეხსიერება ჯერ კიდევ ინახავს სიმღერების სრულყოფილ ტექსტებს. ცნობილია, რომ მთელი რიგი ჟანრები, რომელთაც ყოფაში ხანგრძლივი ქრონომეტრაჟი ჰქონდა, სასცენო შესრულებისათვის შემოკლდა. მათ შორისაა ეპიკური ბალადების ტიპის ნიმუშები, რომელთა ძირითადი ფუნქციაც, მრავალკუპლეთიან ტექსტებში შემონახული ისტორიების გადმოცემა იყო. ამგვარი სიმღერები დღესდღეობით, ძირითადად, არასრული ტექსტებით სრულდება, რაც გაუგებარს ხდის მათ შინაარსს. იშვიათად, მაგრამ ჯერ კიდევ შეხვდებით ეთნოფორებს, რომლებსაც ახსოვთ სიმღერების სრული ტექსტები. მათ შორისაა ლატალში მცხოვრები ჯანი (ჯანო) კვანჭიანი. იგი სიმღერით ჰყვება მშობლიური სვანეთის ყოფისა და ისტორიის საინტერესო ეპიზოდებს, სიტყვების დასამღერებლად შერჩეულ ჰანგს დროდადრო მცირედ ცვლის და განსხვავებულ ორნამენტებად წარმოადგენს, პოეტური ნიჭის წყალობით ლექსშიც დროგამოშვებით საკუთარ სტრიქონებს ურთავს და ამით ცოცხალ შემოქმედებით პროცესს გვიჩვენებს (ვიდეომაგ. 3).

მნიშვნელოვანი საკითხია უფროსი თაობის მიერ საკუთარი მუსიკალური კულტურის აღქმა, ამ მუსიკასთან დამოკიდებულება. ისინი იხსენებენ, რომ, მათ ახალგაზრდობაში, ხალხური სიმღერა და ცეკვა ყოველგვარ თავყრილობას ახლდა და ადამიანებს დადებითი ემოციებით ავსებდა. მშობლიური კუთხის ფოლკლორი თითოეულისთვის ძალიან ძვირფასია, ყოველთვის დიდი მოწინებით იგონებენ ცნობილ შემსრულებლებს და ამ ნიჭით თავადაც ამყობენ; ახარებთ იმ ადამიანებთან ურთიერთობა, ვისაც ფოლკლორი აინტერესებს და უყვარს და სწუხან ახალგაზრდებში ხალხური სიმღერისადმი შემცირებული ინტერესის გამო.

### **ქალები სვანურ მუსიკალურ ტრადიციაში**

სულ ცოტა ხნის წინ, UNESCO-სა და თბილისის სახელმწიფო კონსერვატორიის თანამშრომლობით გამოიცა კრებული *ქალთა როლი იუნესკოს მიერ აღიარებულ ევროპულ სასიმღერო პრაქტიკებში*. ერთ-ერთი პუბლიკაცია, ეთნომუსიკოლოგ ნანა მჭავანაძისა და ეთნოლოგ მადონა ჩამგელიანის ავტორობით, სვანურ ტრადიციულ მუსიკაში ქალის როლს ეხება (მჭავანაძე, ჩამგელიანი, 2022:124-150). ხსენებულ სტატიაზე მუშობის პერიოდში, მის ავტორებთან გვექონდა კომუნიკაცია და აზრების გაზიარების შესაძლებლობა. მოსაზრებას სვანურ მუსიკალურ ტრადიციაში ქალის განსაკუთრებულ მნიშვნელობაზე, სავსებით ვეთანხმებით.

ჩვენ მიერ გამოკითხული ხანდაზმული მომღერლების უმეტესობა, სიმღერისა და ქუჩურ დაკვრის პირველ მასწავლებლად დედას ასახელებდა. თითქმის ყველა თემში, რესპოდენტები მოგვითხრობდნენ, გასული საუკუნის დასაწყისსა და მომდევნო წლებში, ამა თუ იმ სიმღერით, მღერის მანერით, ქუჩურ დაკვრითა თუ ცეკვით გამორჩეული ქალების შესახებ. ლატალში დღემდე ახსოვთ სათემო დღეობაზე – თანლილობაზე, კატი გირგვლიანის მიერ წამოწყებული ფერხული, სიმღერითა და ცეკვით ცნობილი პასიკო და მატრონა ფირცხელანები; სოფელ ფარში გაიხსენეს ადგილობრივი ქალების – აგრაფინა ცალანის, საშა და ლიზა ჩხეტიანების მიერ სამგლოვიარო *ზარის* შესრულების ფაქტები, ამავე თემში

ცნობილი მომღერალი ქალი – ჰადუ დევდარიანი; ჭუბერში – ცერებზე ცეკვით განთქმული ირუჯან ჩხეტიანი... ადგილობრივები ხაზს უსვამენ მამაკაცთა და ქალთა ერთობლივი მღერის ხშირ შემთხვევებს. ნიშანდობლივია, რომ ჯერ კიდევ გასული საუკუნის დასაწყისში, სვანეთში მოგზაურობის შთაბეჭდილებებიდან ზ. ფალიაშვილი წერდა: „ლატბარის მთიდან გადავხვიეთ მარჯვნივ და ჩავდიეთ სოფელ უშკულში. ამ დროს შემოგვესმა მშვენიერი მწყობრი სიმღერა სამ ხმაზედ: გავიხედეთ მარჯვნივ და დავინახეთ მთიდან ჩამომავალი 10-15-ოდე წლის ქალების გუნდი, აი სწორეთ მათგან მოისმოდა ეს სიმღერა. რომ არ მენახა ჩემის თვალით, მე სრულებით არ დავიჯერებდი, რომ ზემოხსენებულს სიმღერას მღეროდნენ ქალები, და არა კაცები... მთელ ჩემს მოგზაურობაში სრულებით არ შემხვედრია ქალებში წმინდა ხმა (სოკრანო), თუმცა სვანეთში მომეტებული ნაწილი მომღერლებისა არიან ქალები. იმათში ბევრი ვნახე ღრმა დაბალხმიანი („კონტრ-ალტო“), რომელიც ძრიელ ჩამოჰგავს კაცების ხმას („ტენორს“). ეს შემთხვევა აიხსნება იმით, რომ სვანეთში კაცი და ქალი მუდამ მღერიან ერთად ხოროთი, და რადგანაც კაცის ხმა საზოგადოდ დაბალია ქალისაზედ ერთი „ოკტავით“, ამიტომ ქალებს თავიანთი ხმა შეუწყვიათ მათი ხმის „დიაპაზონისათვის... გრამოფონში ჩაწერილი მარტო ქალების ნამღერი რომ გაიგონოთ, არასგზით არ დაიჯერებთ, რომ მღერიან ქალები და არა კაცები“ (ფალიაშვილი, 1903:2).

ფალიაშვილამდე თითქმის ოთხი ათეული წლით ადრე სვანეთში, კერძოდ უშკულში მყოფი გაბრიელ ეპისკოპოსი (ქიქოძეს) აღნიშნავს: „საოცარია ის სრული თავისუფლება და სიმსუბუქე, რომელსაც ავლენენ აქაური ქალები. ისინი სრულებით არ იმალებიან მამაკაცებისგან და მათთან ერთად მონაწილეობენ ყოველგვარ თავყრილობასა და გართობაში. ამ შემთხვევაში ქალებმა და მამაკაცებმა შეადგინეს გუნდი და შეასრულეს სხვადასხვა სიმღერა“ (Жикодзе, 1867:37. თარგმანი ჩვენია თ. რ.).

მამაკაცთა და ქალთა ერთობლივი შესრულება დღესდღეობით, ბუნებრივად საოჯახო მუზიციურების ფორმებში ნარჩუნდება. ასევე, როგორც ზემო, ისე ქვემო სვანეთში არიან ქუნირზე დაკვრითა და სიმღერით გამორჩეული ქალები (ვიდეომაგ. 4). რაც შეეხება მუნიციპალურ ანსამბლებს, შერეული შესრულების ტრადიცია იშვიათადაა შენარჩუნებული. ასეთ შემთხვევებშიც, ქალები მხოლოდ ფერხულში დგომითა და ცეკვით შემოიფარგლებიან.

### **დასკვნისათვის**

2021 წლის სავლელ კვლევა გვიჩვენებს, რომ დროის ცვლილება და თანამედროვე ცხოვრების წესი, სიძველისა და ტრადიციისადმი ერთგულებით ცნობილ სვანეთზეც ზემოქმედებს. მიღვეადობის ტენდენცია სახეზეა არასრულად, ფრაგმენტებად შემორჩენილ სათემო დღეობებსა და მივიწყებულ რეპერტუარში. იცვლება თაობები და თანდათან იკლებს იმ ადამიანების რიცხვიც, რომლებიც სიმღერას, ფერხულსა თუ ცეკვას სინკრეტულად, ამა თუ იმ რიტუალში თანამონაწილეობის პროცესში სწავლობდნენ და აზროვნებდნენ ზეპირი ტრადიციის კანონებით. ეს კი არსებითად ცვლის სურათს, რადგან თანდათან იშვიათდება შემოქმედებითი თავისუფლებით, იმპროვიზაციის ნიჭით, მრავალფეროვანი ვარიანტების ცოდნით, წინაპართაგან ბუნებრივად ათვისებული საშემსრულებლო მანერით გამორჩეული ადამიანების რიცხვი. იცვლება ტრადიციული კულტურისადმი დამოკიდებულებაც, მართალია, ახალგაზრდები აღიარებენ მშობლიური კუთხის ფოლკლორის ფასეულობას, თუმცა უმეტესობა მას ზედაპირულად იცნობს. კიდევ ერთი პარამეტრი, რომლის ცვლილებაც სახეზეა – სვანური სიმღერის წყობა და საშემსრულებლო მანერაა. ახალგაზრდებში ტემპერაციისკენ მიდრეკილება თანამედროვე სმენითი გარემოს შედეგი უნდა იყოს,

ხოლო მანერის ცვლილების მიზეზი სვანური ენის ნაკლები ცოდნა და პრაქტიკაში გამოყენებაა.

წყობისა და მანერის ცვლილებები განსაკუთრებით შესამჩნევია ქვემო სვანეთში. სამწუხაროდ, სვანეთის ამ ნაწილში კვლევისთვის განკუთვნილი მცირე დრო, საფუძვლიანი დასკვნებისათვის საკმარისი არ არის. მიღებულმა გამოცდილებამ დაგვარწმუნა, რომ ზემო და ქვემოსვანური მუსიკალური ფოლკლორის ურთიერთმიმართება – სხვაობები, რომელიც, პირველ რიგში, ამ ორი ხეობის რეპერტუარსა და საშემსრულებლო მანერაში ვლინდება, სიღრმისეულ კვლევას საჭიროებს.

ბოლო დროს, ძველი რიტუალების შესრულების, ზოგ შემთხვევაში აღდგენის ერთგვარ სტიმულად ტურიზმი იქცა. ტრადიციული ყოფით დაინტერესებული უცხოელი სტუმრები, არც თუ იშვიათად ქართული მრავალხმიანი სიმღერის შესწავლის სურვილსაც იჩენენ. ეს კი, დამატებით ფინანსებთან ერთად, ადგილობრივებში საკუთარი კულტურით სიამაყის განცდას და ამ ტრადიციების შენარჩუნების სურვილს აძლიერებს. დღესდღეობით საქართველოს სხვადასხვა კუთხეში, მათ შორის, სვანეთში არსებობს სოფლები და ოჯახები, სადაც დაინტერესებულ პირებს შეუძლიათ, შეისწავლონ სვანური სიმღერა, დაეუფლონ საკრავებს, რომლებსაც აქვე, ადგილობრივი ოსტატები ამზადებენ. ამის ნათელი მაგალითია ექსპედიციის დროს ჩვენი ჯგუფის მასპინძელი სოფელი ლახუშდი, სადაც საფერხულო და საცეკვაო სიმღერების შესრულებაში დღემდე ყველა თაობა მონაწილეობს (ვიდეომაგ. 5). ცალკეულ პირთა მონდომებასთან ერთად, ვფიქრობთ, მსგავსი პროცესების სტიმულირებისათვის, აუცილებელია როგორც საქართველოში, ისე მის საზღვრებს გარეთ არსებული კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ვალდებულების მქონე ინსტიტუციებთან თანამშრომლობა. ასეთების ჩართულობა და მხარდაჭერა, მიძიმე საბჭოთა მემკვიდრეობის მქონე ქვეყნისთვის, რომელსაც დღემდე უწევს ბრძოლა საკუთარი კულტურული იდენტობისათვის, სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია.

### ვიდეომგალითები<sup>1</sup>

1. ჯგრაგ. ბეჩოს თემის მომღერალთა ჯგუფი.
2. ლოცვა და ამინ. ლოცვას ამბობს დევდარიანი. ფარის თემი, სოფელი ლამხერი.
3. სარვამ სააყანის სიმღერა. ჟანი (ჯანო) კვანჭიანი. ლატალი, სოფელი კვანჭიანარი.
4. სოზარ ციოყ. ანა ჩამგელიანი (II ხმა, ქუნირი), მადონა ჩამგელიანი (I ხმა), ეკა ჩამგელიანი (ბანი). ლატალი, სოფელი ლახუშდი.
5. საცეკვაო. დამწყები გივი ფირცხელანი. ლატალი, სოფელი ლახუშდი.

### გამოყენებული ლიტერატურა

- ახობაძე, ვ. (1957). ქართული (სვანური) ხალხური სიმღერების კრებული. თბილისი: ტექნიკა და შრომა.
- ბარდაველიძე, ვ. (1953). ქართული (სვანური) საწესო გრაფიკული ხელოვნების ნიმუშები. თბილისი: მეცნიერებათა აკადემიის გამომცემლობა.
- მჟავანაძე, ნ., & ჩამგელიანი, მ. (2022). ქალი და მისი როლი სვანების მუსიკალურ ყოფაში. ნურნუმია, რუსუდანი (რედ.), კრებულში: ქალთა როლი ინუსეკოს მიერ აღიარებულ ევროპულ ტრადიციულ სასიმღერო პრაქტიკებში (გვ. 124–150). თბილისი: თბილისის სახელმწიფო კონსერვატორია.
- ფალიაშვილი, ზ. (1903). ჩემი მოგზაურობა სვანეთში და სვანური სახალხო სიმღერები. გაზეთი ივერია, #175, 1–2.
- Кикодзе, Г. (1867). Православие на Кавказе. Обзорение Сванетских приходов. Православное обозрение, 22(1), 30–61.
- Тепцов, В. (1890). Сванетские мотивы и песня о Кансаве Кипиани (с нотами). СМОМПК, Вып. X отд. II. Тифлис: типография канцелярии главноначальствующего гражданской частию на Кавказе.

---

<sup>1</sup> ექსპედიციის მასალები ინახება ფოლკლორის სახელმწიფო ცენტრის არქივში.